



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080134862686219

№ 2037

24 / აპრილი / 2019 წ.

შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180000712;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „მარიამი ო.ბ. 2006“ (ს/ნ: 245560085);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 25 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 25 თებერვლის № 05/1322 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1680), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ის (ს/ნ: 245560085) მიერ NAT180000712 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 13 მარტის № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე otarberidze@gmail.com, 2019 წლის 27 თებერვლის № 865 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 13 მარტის № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 16 იანვარს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT180000712 ელექტრონული ტენდერი მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (CPV45200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 13 თებერვლის № 4 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა (შპს „მარიამი ო.ბ. 2006“ ს/ნ: 245560085), ხოლო სატენდერო კომისიის 2018 წლის 5 მარტის №5 სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 13 მარტს გაფორმდა №37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მისი გაფორმებიდან ხუთი თვის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 123 043,73 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 15 სექტემბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 10 სექტემბრის №1, 2018 წლის 8 ოქტომბრის №2 და 2018 წლის 24 ოქტომბრის შეთანხმების აქტების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 ოქტომბერი.

4.5. ხელშეკრულების 6.2 მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება საგარანტიო ვადა სამუშაოს დასრულების დღიდან 24 თვე.

4.6. საქმეში არსებული 2018 წლის 21 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა 6 500 ლარის ღირებულების ტუმბო. ასევე მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 29 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 119 459,94 ლარის ღირებულების სამუშაო.

4.7. საქმეში არსებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარსადგენად შექმნილი კომისიის 2019 წლის 14 თებერვლის № 1 სხდომის ოქმით დგინდება, რომ ობიექტზე მიწის დარეგისტრირების პროცესი გაჭიანურდა, ვერ მოხერხდა ელექტროენერჯისთვის საჭირო ტექნიკური პირობების მიღება და ჭაბურღილის ელ. ქსელზე დაერთება. ვინაიდან არ შეიძლებოდა არამუშა მდგომარეობაში ჭაბურღილის ჭაში ტუმბოს დატოვება, მიმწოდებელმა მოახდინა ტუმბოს დემონტაჟი და დროებით შეინახა იგი. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 18 დეკემბრის №05/9211 წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ 2018 წლის დეკემბრის თვეში სს „ენერჯო-პრო ჯორჯიამ“ გასცა ელექტროენერჯის მიწოდების ტექ. პირობა და დაასრულა ქსელის მოწყობის სამუშაო. შესაბამისად, ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ მას დაუყონებლივ უნდა დაეერთებინა ჭაბურღილის ტუმბო ელექტროქსელთან, რათა შესაძლებელი გამხდარიყო წყალმომარაგების ქსელში წყლის მიწოდება.

4.8. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 24 დეკემბრის №05/9305 და 25 დეკემბრის №05/9404 წერილებით მიმწოდებელს აცნობა, რომ მას 2018 წლის 28 დეკემბრამდე უნდა დაეერთებინა ჭაბურღილის ტუმბო ელექტრო ქსელთან, რათა შესაძლებელი გამხდარიყო წყალმომარაგების ქსელში წყლის მიწოდება.

4.9. მიმწოდებელმა 2018 წლის 25 დეკემბრის №17354/05 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მან დაამონტაჟა ტუმბო, თუმცა იგი დეფექტური აღმოჩნდა. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მიმწოდებელმა მოახდინა ტუმბოს დემონტაჟი. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელი უმოკლეს დროში აღმოფხვრიდა პრობლემას და დაამონტაჟებდა ტუმბოს.

4.10. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 27 დეკემბრის №9497/05 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში უნდა უზრუნველყო ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის გამართული მუშაობა. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ მას 2019 წლის 11 იანვრამდე უნდა დაემონტაჟებინა ტუმბო და ამასთან, უნდა უზრუნველყო წყლის ქსელის სრულყოფილი ფუნქციონირება.

4.11. მიმწოდებელმა 2019 წლის 10 იანვრის № 1 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მას ტუმბოს ჩამოტანა მოუწია თურქეთიდან, რამდენადაც ვერ შეძლო მისი საქართველოში მოძიება. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელი 2019 წლის 30 იანვრამდე შეძლებდა ტუმბოს დამონტაჟებას, რამდენადაც იანვრის თვეში არსებული უქმე დღეების რაოდენობის გამო, გაჭიანურდა ტუმბოს საქართველოში ჩამოტანა.

4.12. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 11 იანვრის №05/177 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ მას არაუგვიანეს 2019 წლის 30 იანვრისა, უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, უნდა დაემონტაჟებინა ჭაბურღილის ტუმბო.

4.13. საქმეში არსებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 თებერვლის №138 ბრძანებით, ასევე ამ განკარგულების 4.7 პუნქტში მითითებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარსადგენად შექმნილი კომისიის 2019 წლის 14 თებერვლის № 1 სხდომის ოქმით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა გამოვლენილი ხარვეზი.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო აღგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზი და შემსყიდველ ორგანიზაციას არ მიაწოდა უნაკლო ნივთი. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 6.2 მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდებოდა საგარანტიო ვადა – სამუშაოს დასრულების დღიდან 24 თვე. ამდენად, მოცემული მსჯელობისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, არ აღმოფხვრა გამოვლენილი ხარვეზი და შემსყიდველ ორგანიზაციას არ მიაწოდა უნაკლო ნივთი, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ტუმბოს ღირებულების გარდა (6500 ლარი), შესრულებულ იქნა 112 959,94 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 92%-ს შეადგენს. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაბრობითი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5


პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მარიამი ო.ბ. 2006“-ს (ს/ნ: 245560085) 2019 წლის 25 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე